საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004308

„ 20 " ივლისი 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. ნიდერანაძის I შეს N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ჯავახეთდოგზა" (ს/ს 223352930)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

დაბ. თარ: [redacted] დირექტორი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის N2-595 ბრძანებით გაფორმული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N004308 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004308 აღმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის უნიჭვნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის, ნახევრების ჩრიცის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 46-ე მუხლის

პირველი ნაწილის უფლებამოსილ

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მოადგილე სახელმწიფო ინსპექტორი ნოდარ კოტიკოლაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოტიკოლაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 20 ივლისის №004308 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 25 ნოემბრის №DES52500000558 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ხოსპიოში განთავსებული, შპს „ჯავახავტოგზა“-ს (ს/კ 223352930) კუთვნილ ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-595 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის **გეგმიური შემოწმება.**

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-595 ბრძანების **მე-3 პუნქტის** შესაბამისად, შპს „ჯავახავტოგზა“ საქმიანობას არ ახორციელებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნების და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სანიაღვრე არხები და სალექარი, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.2. საწარმოს ტერიტორიაზე არ არის განთავსებული მიმართულების, გამაფრთხილებელი და საევაკუაციო ნიშნები;

1.3. კომპანიას არ გააჩნია შესაბამისი ხელშეკრულება სახიფათო ნარჩენების გატანა/განთავსებასთან დაკავშირებით, შესაბამის უფლებამოსილ ორგანიზაცი(ებ)თან;

1.4 საწარმოში მოწყობილი სახიფათო ნარჩენების შესანახი ფარდულები არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, მასში განთავსებულია საწარმოო ნედლეული და სხვადასხვა ნაწილები და არა საწარმოს მუშაობის შედეგად მიღებული ნარჩენი;

1.5 საწარმოში ნარჩენები არ არის განთავსებული გზშ ანგარიშის და სამინისტროს 2024 წლის 27 ნოემბრის №8734/01 წერილით 2024-2026 წლების პერიოდზე შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, ტერიტორიაზე ნარჩენები განთავსებულია ქაოტურად, არ ხდება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება.

2. მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-595 ბრძანების **მე-7 პუნქტის** შესაბამისად კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების

დაცვა, თუმცა დადგინდა რომ შპს „ჯავახავტოგზა“-ს არ გააჩნია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული ზდჩ ნორმების პროექტი;

გამოვლენილ დარღვევებზე, 2026 წლის 10 მარტს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „ჯავახავტოგზა“-ს მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 097829 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2026 წლის 7 აპრილის №4/45-26 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯავახავტოგზა“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 20 ივლისის № 004308 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 20 ივლისის №004308 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ჯავახავტოგზა“-ს (ს/კ 223352930) კუთვნილ ასფალტის საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 9 ივლისის №2-595 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის **გეგმიური** შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ჯავახავტოგზა“ ვალდებულია**:

1. საქმიანობის განხორციელება **მუდმივად** უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნების და რეკომენდაციების შესაბამისად (2020 წლის 9 ივლისის №2-595 ბრძანების **მე-3 პუნქტი).** მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში უზრუნველყოს** საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების (ბეტონის კიუვეტების - წყალშემკრებების, რომელიც დაუკავშირდება ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სალექარს) და სალექარის (სამსაფეხურიანი) მოწყობა/ტექნიკურად გამართვა, გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის** ვადაში უზრუნველყოს შესაბამის უფლებამოსილ პირთან ხელშეკრულების გაფორმება, საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შემდგომ მართვასთან (გატანა/განთავსებასთან) დაკავშირებით;

1.3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში საწარმოს ტერიტორიაზე განათავსოს მიმართულების, გამაფრთხილებელი და საევაკუაციო ნიშნები;

1.4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან**, არ დაუშვას ტერიტორიის სხვადასხვა ნარჩენებით დანაგვიანება.**

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს** „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი“-ს შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა

ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების“ დაცვა (2020 წლის 9 ივლისის №2-595 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პირობა**);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს, ნარჩენების (სახიფათო, არასახიფათო) მართვა (მათ შორის ნარჩენების სეპარირებული შეგროვება), გზშ ანგარიშის, ნარჩენების მართვის გეგმის, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად (2020 წლის 9 ივლისის №2-595 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-4 პირობა)**.